

მცირე ნაბიჯები დიდი მიზნებისკენ:

საქართველოს ანტიკორუფციული  
პოლიტიკა ევროკავშირთან  
ასოცირების პროცესის კონტექსტში



საერთაშორისო  
გამჭვირვალობა  
საქართველო

ივნისი, 2019 წ.



Sweden/შვედეთი

**Sverige**

*პუბლიკაცია მომზადდა შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“. შეიძლება ის არ ასახავდეს შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს შეხედულებებს.*

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმება, ასევე ამ შეთანხმების იმპლემენტაციის ხელშეწყობის მიზნით მხარეების მიერ დამტკიცებული 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგი, გულისხმობს მხარეების თანამშრომლობას კორუფციასთან ბრძოლაში და საქართველოს ვალდებულებას, მიიღოს ზომები კორუფციის ყველა ფორმასთან (მათ შორის კომპლექსურ ფორმებთან) საბრძოლველად.

ასოცირების დღის წესრიგის დამტკიცებიდან წელიწადნახევრის თავზე, საქართველოს პოზიტიური შედეგები აქვს წვრილმანი კორუფციის აღმოფხვრის მხრივ მიღწეული პროგრესის შენარჩუნების თვალსაზრისით, თუმცა ვერ ხერხდება მდგომარეობის გაუმჯობესება მაღალი დონის კორუფციასთან ბრძოლის სფეროში.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების თანახმად, მოქალაქეები მთლიანობაში ნეგატიურად აფასებენ ქვეყანაში კორუფციის მხრივ არსებულ მდგომარეობას და ამ მდგომარეობის დინამიკას, ასევე ფიქრობენ, რომ ხელისუფლება სათანადოდ არ იძიებს კორუფციის შემთხვევებს, როცა საქმე მაღალი თანამდებობის პირებს ან მმართველ პარტიასთან დაკავშირებულ გავლენიან ადამიანებს ეხება.

საზოგადოების ამგვარი განწყობა სავარაუდოდ განპირობებულია სამართალდამცავი ინსტიტუტების არაეფექტური რეაგირებით ბოლო პერიოდში გახმაურებულ კორუფციის არაერთ შესაძლო შემთხვევაზე, რომლებიც ისეთ დანაშაულებს უკავშირდება, როგორცაა ბიზნესის საქმიანობაში უკანონო ჩარევა, სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა, უკანონო გამდიდრება, პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კამპანიების დაფინანსების წესების დარღვევა და სხვა.

მაღალი დონის კორუფციასთან ბრძოლის მხრივ სამართალდამცავი ინსტიტუტების არაეფექტური მუშაობა, პირველ რიგში, განპირობებულია პოლიტიკური სისტემის ამჟამინდელი ხასიათით - ძალაუფლების კონცენტრირებით ერთი პოლიტიკური პარტიის ხელში, რაც ამ პარტიას საშუალებას აძლევს, რომ არაჯეროვანი გავლენა მოახდინოს ამ და სხვა საჯარო ინსტიტუტების საქმიანობაზე.

ამავე დროს, საქართველოს მთავრობის 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც ასოცირების შეთანხმებისა და დღის წესრიგის მიზნების განხორციელების ხელშეწყობისთვის დამტკიცდა, მეტწილად ფოკუსირებული იყო ლოკალური ხასიათის აქტივობებზე (განსაკუთრებით ტრენინგებზე), რომლებიც თავისთავად სასარგებლოა, მაგრამ ვერ უზრუნველყოფს ზემოსხენებული სისტემური პრობლემების გადაჭრას.

ამ სისტემური პრობლემების დასაძლევად, საქართველოს ხელისუფლებამ, ერთი მხრივ უნდა უზრუნველყოს ანტიკორუფციული სააგენტოს დამოუკიდებლობა და დაცულობა პარტიული გავლენისგან, ხოლო, გრძელვადიან პერსპექტივაში, ხელი შეუწყოს უფრო პლურალისტური

პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებას. ამ მიმართულებით პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა პარლამენტის არჩევის სრულიად პროპორციულ სისტემაზე გადასვლა.

## შესავალი: ანტიკორუფციული ვალდებულებები ასოცირების შეთანხმებასა და ასოცირების დღის წესრიგში

ევროკავშირსა და საქართველოს შორის 2014 წელს ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმება, ასევე 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგი, რომლის ამოცანა ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციის ხელშეწყობაა, მთელ რიგ დებულებებს მოიცავენ იმ რეფორმების შესახებ, რომლებიც საქართველომ კორუფციასთან ბრძოლის სფეროში უნდა განახორციელოს.

ასოცირების შეთანხმების მე-4 მუხლში ვკითხულობთ, რომ:

„მხარეები ითანამშრომლებენ, რათა... გააგრძელონ ეფექტიანი ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ, განსაკუთრებით კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების თვალსაზრისით, და უზრუნველყონ შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების, როგორცაა „კორუფციის წინააღმდეგ“ გაეროს 2003 წლის კონვენცია, ეფექტიანი იმპლემენტაცია.“<sup>1</sup>

თავის მხრივ, 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგის ძირითად მიზნებს შორისაა:

„ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფა კორუფციის, კერძოდ კი კომპლექსური კორუფციის პრევენციისა და, გამოაშკარავებისა და ამ პრობლემის მოგვარებისთვის, აგრეთვე ყველა შესაბამისი თანამდებობის პირის ქონებისა და შემოსავლის დეკლარაციების შემოწმება.“<sup>2</sup>

2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგი განსაზღვრავს თანამშრომლობის პრიორიტეტებს ამ პერიოდისთვის. დოკუმენტი მოიცავს მოკლევადიან პრიორიტეტებს (რომლებიც მიღწეულ უნდა იქნას ან მათი შესრულების კუთხით მნიშვნელოვანი პროგრესი უნდა შეიმჩნეოდეს 2018 წლის დასასრულისთვის) და საშუალოვადიან პრიორიტეტებს (რომლებიც მიღწეულ უნდა იქნას ან მათი შესრულების კუთხით მნიშვნელოვანი პროგრესი უნდა შეიმჩნეოდეს 2020 წლის დასასრულისთვის).

ვინაიდან 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგის დამტკიცებიდან წელიწადნახევარია გასული, საინტერესო და მნიშვნელოვანია იმის განხილვა, თუ რა ნაბიჯები გადადგა საქართველომ ზემოხსენებული პრიორიტეტების განხორციელების კუთხით და რამდენად მიუახლოვდა ასოცირების დღის წესრიგით დადგენილ საბოლოო მიზნებს.

<sup>1</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის, მე-4 მუხლი.

<sup>2</sup> Association Agenda Between the European Union and Georgia, 2017-2020, 10.

რა ნაბიჯები გადადგა საქართველომ 2017 წლის შემდეგ კორუფციასთან ბრძოლის კუთხით ასოცირების შეთანხმებისა და დღის წესრიგის იმპლემენტაციის ფარგლებში?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგი თითოეულ სფეროში ძირითადი მიზნების განსაზღვრის პარალელურად იმ პრიორიტეტულ საკითხებსაც ადგენს, რომლებიც ამ მიზნების მისაღწევად უნდა გადაიჭრას. ანტიკორუფციული პოლიტიკის შემთხვევაში, 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგით განსაზღვრული პრიორიტეტებია:

- კორუფციასთან ბრძოლის გაგრძელება და შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების ეფექტიანი იმპლემენტაცია, როგორც არის გაერო-ს კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ, და კორუფციის შესახებ სისხლის სამართლის კონვენცია და მისი დამატებითი ოქმი, ისევე როგორც ევროპის საბჭოს ქვეყნების კორუფციის წინააღმდეგ მოქმედი ჯგუფის (GRECO) რეკომენდაციები და OECD-ანტიკორუფციული ქსელის რეკომენდაციები აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიისთვის;
- მოქალაქეთა უფლების გაუმჯობესება ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, როგორც კორუფციის ეფექტიანად პრევენციის ერთ-ერთ საკვანძო ზომაზე;
- მოქმედი საზედამხედველო, აუდიტისა და ფინანსური საგამომიებო ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება;
- დარგობრივ კომიტეტთა უფლებამოსილების გაუმჯობესებით, პარლამენტის საზედამხედველო უფლებამოსილებათა გაძლიერება;
- ანტიკორუფციული ეროვნული სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის ეფექტიანი იმპლემენტაციის გაგრძელება კორუფციის, განსაკუთრებით კი კომპლექსური კორუფციის პრევენციის, გამომწვევებისა და გადაჭრის მიზნით;
- კორუფციის საქმეების ეფექტიანი გამომიების უზრუნველყოფა და ინტერესთა კონფლიქტის პრევენციისათვის ეფექტიანი სისტემის შექმნა.<sup>3</sup>

ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის იმპლემენტაციის მიზნით საქართველოს მთავრობა ყოველწლიურად ამტკიცებს ეროვნულ სამოქმედო გეგმებს. ეს სამოქმედო გეგმები წარმოადგენენ იმ ნაბიჯების ჩამონათვალს, რომელთა გადადგმასაც საქართველოს ხელისუფლების შესაბამისი ინსტიტუტები მოცემულ წელს გეგმავენ ასოცირების შეთანხმებასა და ასოცირების დღის წესრიგში აღწერილი მიზნების მისაღწევად და შესაბამისი პრიორიტეტული საკითხების გადასაჭრელად.

<sup>3</sup> Association Agenda Between the European Union and Georgia, 2017-2020, 16-18.

2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა<sup>4</sup> ითვალისწინებდა რიგ აქტივობებს ასოცირების დღის წესრიგით განსაზღვრული პრიორიტეტების განხორციელების მიზნით. ამ აქტივობების დეტალური ჩამონათვალი ანგარიშის დანართშია მოცემული.

უფრო მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის, თუ რამდენად სწორად იყო იმთავითვე შერჩეული ეროვნული სამოქმედო გეგმის აქტივობები, რამდენად შეუწყვეს ამ აქტივობებმა ხელი ასოცირების დღის წესრიგის პრიორიტეტული საკითხების გადაჭრას და რამდენად დაუახლოვდა ამ აქტივობების განხორციელების შედეგად საქართველო ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის მიზნებს.

2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის ის კომპონენტები, რომლებიც ანტიკორუფციულ პოლიტიკას ეთმობოდა, მეტწილად ფოკუსირებული იყო შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებისთვის ტრენინგებისა და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებაზე. მაგალითად, სამოქმედო გეგმა ითვალისწინებდა ტრენინგებს ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს თანამშრომლებისთვის, შიდა აუდიტის სუბიექტების თანამშრომლებისთვის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებისთვის, პროკურორებისა და პროკურატურის თანამშრომლებისთვის.

---

*2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა  
მეტწილად ტრენინგების ჩატარებაზე იყო  
ფოკუსირებული*

---

სამოქმედო გეგმაში ასევე ასახული იყო ზოგიერთი მუდმივი და გრძელვადიანი საქმიანობა, რომელსაც საჯარო უწყებები მათი ძირითადი მოვალეობების ფარგლებში ახორციელებენ: მაგალითად, ეროვნული ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის მონიტორინგი (იუსტიციის სამინისტროს მიერ) და თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგი (საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ).

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებებიდან აღსანიშნავია ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის შემუშავება და პარლამენტში წარდგენა, თუმცა ეს ამოცანა ამ დროისთვის შეუსრულებელი რჩება.

მართალია ეროვნული სამოქმედო გეგმა საქართველოს პარლამენტის აქტივობებს არ მოიცავს, მაგრამ ასოცირების დღის წესრიგის ერთ-ერთი ანტიკორუფციული პრიორიტეტის (პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერების) კონტექსტში მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 2018 წელს პარლამენტის ახალი რეგლამენტის დამტკიცება, რომელიც რიგ პოზიტიური ცვლილებებს შეიცავს მთავრობის საქმიანობაზე ზედამხედველობის მხრივ.<sup>5</sup>

---

<sup>4</sup> ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა, <http://mfa.gov.ge/>

<sup>5</sup> პარლამენტის რეგლამენტის პროექტის შეფასება საზედამხედველო ფუნქციის განხორციელების მიმართულებით, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 21 ნოემბერი, 2018 წ. <https://www.transparency.ge/ge/blog/parlamentis-reglamentis-proektis-shepaseba-sazedamxedvelo-punkciis-ganxorcielebis-mimartulebit>

## გაუმჯობესდა თუ არა საქართველოში მდგომარეობა კორუფციის მხრივ 2017 წლის შემდეგ?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, უნდა განვიხილოთ ის ინდიკატორები, რომლებიც, როგორც წესი, ქვეყანაში კორუფციის მხრივ არსებული მდგომარეობის შეფასებისას გამოიყენება. შეიძლება გამოვყოთ ასეთი ინდიკატორების სამი კატეგორია:

1. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ კორუფციის აღქმის ინდექსი
2. საზოგადოებრივი აზრის კვლევები
3. სავარაუდო კორუფციის გახმაურებულ შემთხვევებზე ხელისუფლების რეაგირების პრაქტიკა

ქვემოთ შევეცდებით დავადგინოთ, თუ რამდენად გაუმჯობესდა საქართველოში კორუფციის მხრივ მდგომარეობა 2017 წლიდან დღემდე ამ სამი ინდიკატორის თანახმად.

### კორუფციის აღქმის ინდექსი

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ კორუფციის აღქმის ინდექსში (რომელიც ყველაზე ავტორიტეტული საერთაშორისო ანტიკორუფციული რეიტინგია) საქართველოს 2017 წელს 56 ქულა ჰქონდა, ხოლო 2018 წელს ეს მაჩვენებელი 58 ქულამდე გაიზარდა (100 მაქსიმალური შესაძლებელი ქულიდან), თუმცა, კვლევის მეთოდოლოგიის თანახმად, ორქულიანი მატება უმნიშვნელოდ მიიჩნევა და მდგომარეობის არსებით ცვლილებაზე არ მიუთითებს. საქართველო არ არის იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც ბოლო წლებში მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწიეს რეიტინგში.

---

*„მიუხედავად გადაუდებელი აუცილებლობისა, რომ გამოძიებულ იქნეს მთავრობის წევრთა კორუფციაში მონაწილეობისა და სხვა დარღვევების შემთხვევები, საქართველომ ვერ შექმნა დამოუკიდებელი უწყებები, რომლებიც ამ ფუნქციას იკისრებდნენ.“*

---

მეტიც, „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ ინდექსის 2018 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ „მიუხედავად გადაუდებელი აუცილებლობისა, რომ გამოძიებულ იქნეს მთავრობის წევრთა კორუფციაში მონაწილეობისა და სხვა დარღვევების შემთხვევები, საქართველომ ვერ შექმნა დამოუკიდებელი უწყებები, რომლებიც ამ ფუნქციას იკისრებდნენ.“<sup>6</sup>

<sup>6</sup> Eastern Europe & Central Asia: Weak Checks and Balances Threaten Anti-Corruption Efforts, Transparency International, 29 January 2019,

<https://www.transparency.org/news/feature/weak-checks-and-balances-threaten-anti-corruption-efforts-across-eastern-eu>



აღსანიშნავია, რომ კორუფციის აღქმის ინდექსი ე.წ. კომპოზიტიური ინდექსია, ანუ ამ რეიტინგში ნებისიერი ქვეყნის ქულა სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე მიღებული საშუალო ქულაა.

### საზოგადოებრივი აზრის კვლევები

ასოციაციების მიმდინარე დღის წესრიგის ამოქმედებიდან დღემდე ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების თანახმად, კორუფციის მხრივ საქართველოში მდგომარეობა არ იცვლება ან იცვლება უარესობისკენ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ დაკვეთით 2019 წლის თებერვალ-მარტში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 36% ფიქრობს, რომ გავრცელებულია „საჯარო მოხელეების მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენება პირადი მიზნების მისაღწევად.“<sup>7</sup> ეს მაჩვენებელი 2018 წელს ჩატარებული ანალოგიური გამოკითხვის შედეგების იდენტურია.<sup>8</sup>

ორივე წლის გამოკითხვები დადებით მდგომარეობაზე მიუთითებს წვრილმანი კორუფციის სიხშირის თვალსაზრისით (ორივე შემთხვევაში, მხოლოდ გამოკითხულთა 1% თქვა, რომ მათ ან მათი ოჯახის წევრებს წინა 12 თვის განმავლობაში ქრთამის გადახდა მოსთხოვეს სახელმწიფო მომსახურების სანაცვლოდ), თუმცა 2019 წელს გამოკითხულთა 51% ფიქრობს, რომ კორუფციის შემთხვევების სათანადოდ გამოძიება არ ხდება, როდესაც საქმე მაღალი თანამდებობის პირებს ან მმართველ პარტიასთან დაკავშირებულ გავლენიან ადამიანებს ეხება და მხოლოდ 27% ფიქრობს, რომ ასეთ საქმეებს სათანადოდ იძიებენ.

---

*ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევების თანახმად, გამოკითხულთა მხოლოდ 27% ფიქრობს, რომ საქართველოში მაღალი დონის კორუფციის შემთხვევებს ეფექტურად იძიებენ და მხოლოდ 15% მიაჩნია, რომ კორუფციის მხრივ მდგომარეობა უმჯობესდება.*

---

აშშ-ის ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის დაკვეთით 2018 წლის დეკემბერში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 34% ფიქრობს, რომ საქართველოში კორუფციის მხრივ მდგომარეობა არ იცვლება, ხოლო 34% მიიჩნევს, რომ მდგომარეობა უარესდება და მხოლოდ 15% მიიჩნევს, რომ მდგომარეობა უმჯობესდება.<sup>9</sup> იმავე კვლევის მიხედვით, რესპონდენტების 50% ფიქრობს, რომ საქართველოში კორუფცია

<sup>7</sup> კორუფცია საქართველოში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 12 აპრილი, 2019 წ. <https://www.transparency.ge/ge/post/korupcia-sakartveloshi-mnishvnelovan-gamocvevad-rcheba>

<sup>8</sup> საზოგადოებრივი აზრის კვლევა: კორუფცია, ნდობა ინსტიტუტების მიმართ და საჯარო პოლიტიკის საკითხები, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 11 მაისი, 2018 წ. <https://www.transparency.ge/ge/post/sazogadoebrivi-azris-kvleva-korupcia-ndoba-institutebis-mimart-da-sajaro-politikis-sakitxebi>

<sup>9</sup> NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2018 წლის დეკემბერი, <https://caucasusbarometer.org/en/nd2018ge/DIRCORR/>

გავრცელებული ან ძალიან გავრცელებულია, ხოლო 21% მიიჩნევს, რომ კორუფცია ნაკლებად არის გავრცელებული ან საერთოდ არ არის გავრცელებული.<sup>10</sup>

### რეაგირება კორუფციის შესაძლო შემთხვევებზე

ბოლო პერიოდში გახმაურებული კორუფციის რამდენიმე შესაძლო შემთხვევა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სამართალდამცავი ინსტიტუტები არ რეაგირებენ ეფექტურად ასეთ შემთხვევებზე, თუ საქმე მაღალი თანამდებობის პირების ან მმართველი პარტიისა და მასთან დაკავშირებული გავლენიანი ადამიანების ინტერესებს ეხება.

აღსანიშნავია უკანასკნელ პერიოდში გახმაურებული რამდენიმე შემთხვევა, როდესაც შესაძლოა ადგილი ჰქონდა მაღალი თანამდებობის პირებისა და პოლიტიკოსების მონაწილეობას კორუფციაში:

- ე.წ. „ომეგას“ საქმე - სკანდალი, რომელსაც სათავე 2018 წლი სექტემბერში ბიზნესმენ ზაზა ოქუაშვილის განცხადებებმა და გასაჯაროებულმა ფარულმა აუდიოჩანაწერებმა დაუდო. გამოქვეყნებული მასალების თანახმად, ადგილი ჰქონდა გარიგებას კერძო კომპანიებს, ხელისუფლების სხვადასხვა ინსტიტუტის წარმომადგენლებსა და მმართველი პარტიის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებულ გავლენიან პირებს შორის, რომელიც გულისხმობდა თანამდებობის პირთა ძალაუფლების გამოყენებას თამბაქოს ბაზარზე ხსენებული კომპანიებისთვის დომინანტი პოზიციის უზრუნველყოფის მიზნით. ამის შედეგად გენერირებული შემოსავლები კი განაწილდებოდა კომპანიებსა და მმართველ პარტიასთან დაკავშირებულ ჯგუფს შორის. მასალებში ნახსენები იყო ვიცე-პრემიერ დიმიტრი ქუმისიშვილის, კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელ ნოდარ ხადურის, ყოფილ მთავარ პროკურორ ოთარ ფარცხალაძის და მმართველი პარტიის ლიდერ ბიძინა ივანიშვილის სახელები.<sup>11</sup>
- ჟურნალისტური გამოძიება მაღალი თანამდებობის პირების (მათ შორის პარლამენტის წევრების, მინისტრების და მოსამართლეების) ძვირადღირებული ქონების შესახებ.<sup>12</sup>
- ამომრჩეველთა მოსყიდვა<sup>13</sup> და საარჩევნო კამპანიების დაფინანსების მარეგულირებელი კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევის მრავალი შემთხვევა 2018 წლის საპრეზიდენტო

<sup>10</sup> <sup>10</sup> NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2018 წლის დეკემბერი, <https://caucasusbarometer.org/en/nd2018ge/CORRGeo/>

<sup>11</sup> კორუფციის კვამლი: დიდი განაწილება თამბაქოს ბიზნესში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 26 სექტემბერი, 2018 წ. <https://www.transparency.ge/ge/blog/korupciis-kvamli-didi-ganacileba-tambakos-biznesshi>

<sup>12</sup> როგორ მდიდრდებოდნენ ქართველი ჩინოვნიკები: დეპუტატების და მინისტრების ელიტური სახლები, ჯემნიუსი, 14 ოქტომბერი, 2018 წ. <https://jam-news.net/journalists-expose-the-lavish-homes-of-georgian-mps-and-ministers/>

<sup>13</sup> 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინასაარჩევნო გარემოს შეფასება, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, <https://www.transparency.ge/ge/post/2018-clis-saprezidento-archevnebis-meore-turis-cinasaarchevno-garemos-shepaseba>

არჩევნების დროს, რომელთა ბენეფიციარი მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი იყო და რომლებიც ქმედითი რეაგირების გარეშე დარჩა.<sup>14</sup>

- თიბისი ბანკის დამფუძნებელ მამუკა ხაზარაძის განცხადება, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში ხელისუფლება აიძულებდა მას გადაედგა ნაბიჯები მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის სასარგებლოდ.<sup>15</sup>
- ჟურნალისტური გამოძიება იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ტაბატაძის საექვო გამდიდრებასთან დაკავშირებით.<sup>16</sup>
- ჟურნალისტური გამოძიება ყოფილ ვიცე-პრემიერ დიმიტრი ქუმსიშვილის საექვო და არადეკლარირებული ქონების შესახებ.<sup>17</sup>
- პროკურატურის ყოფილი მაღალი თანამდებობის პირის, მირზა სუბელიანის საქმე, რომელიც გახმაურებული მკვლევლობის საქმეში გამოძიებისთვის ხელის შეშლაში იქნა მხილებული, მაგრამ შედარებით მსუბუქი სასჯელი მიიღო - შესაძლოა, მმართველი პარტიისთვის სხვა შემთხვევებში გაწეული სამსახურის გამო.<sup>18</sup>
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა, რომლის თანახმად ყოფილ მთავარ პროკურორ ოთარ ფარცხალაძესთან დაკავშირებულ კომპანიას საექვო ვითარებაში გადაეცა სახელმწიფო ქონება (დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ ფარცხალაძე ფიზიკურად გაუსწორდა გენერალურ აუდიტორ ლაშა თორდიას).<sup>19</sup>

გარდა ზემოჩამოთვლილი, ბოლო პერიოდის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებისა, უკანასკნელ წლებში ტენდენციის სახე მიიღო შემთხვევებმა, როცა რეაგირების გარეშე რჩება ინფორმაცია თანამდებობის პირების მიერ იმ სამართლებრივი ნორმების შესაძლო დარღვევების შესახებ,

<sup>14</sup> Georgia Presidential Election 28 October and 28 November 2018, ODIHR Election Observation Mission Final Report, 28 february 2019, <https://www.osce.org/odihr/elections/georgia/412724?download=true>

<sup>15</sup> 11 კითხვა მამუკა ხაზარაძისა და "თიბისი" ბანკის საქმის შესახებ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 21 მარტი, 2019 წ. [https://www.transparency.ge/ge/post/11-kitxva-mamuka-xazarazisa-da-tibisi-bankis-sakmis-sheaxeb/?custom\\_searched\\_keyword=%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94](https://www.transparency.ge/ge/post/11-kitxva-mamuka-xazarazisa-da-tibisi-bankis-sakmis-sheaxeb/?custom_searched_keyword=%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94)

<sup>16</sup> 3 მილიონით გაზრდილი ქონება "ოცნების" ხელისუფლებაში ყოფნის დროს - ალექსანდრე ტაბატაძე - ოფიციალური მილიონერი მთავრობიდან, რუსთავი-2, 11 მაისი, 2019 წ. <http://rustavi2.ge/ka/news/133095>

<sup>17</sup> მაღალჩინოსნების დამალული ქონება - ჟურნალისტური გამოძიება, რადიო თავისუფლება, 9 მარტი, 2019 წ. <https://www.youtube.com/watch?v=hq5NTyvjz6A&feature=youtu.be&fbclid=IwAR0219j5R8c6Dm3kjc4xRqeTHzFBpQLmCiNivp2N7nkU4Rno6AqGSlmQtg>

<sup>18</sup> მირზა სუბელიანის საქმე: ობიექტური მართლმსაჯულება თუ შეთანხმებული განაჩენი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 11 მარტი, 2019 წ. [https://www.transparency.ge/ge/blog/mirza-subelianis-sakme-obiecturi-martlmsajuleba-tu-shetanxmebuli-ganacheni/?custom\\_searched\\_keyword=%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%96%E1%83%90](https://www.transparency.ge/ge/blog/mirza-subelianis-sakme-obiecturi-martlmsajuleba-tu-shetanxmebuli-ganacheni/?custom_searched_keyword=%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%96%E1%83%90)

<sup>19</sup> ოთარ ფარცხალაძის კომპანიისთვის ქონების არამართლზომიერად გადაცემის ფაქტებზე გამოძიება უნდა დაიწყოს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 28 თებერვალი, 2018 წ. [https://www.transparency.ge/ge/post/otar-parcxalazis-kompaniistvis-konebis-aramartlzmierad-gadacemis-faktebze-gamozieba-unda/?custom\\_searched\\_keyword=%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A1](https://www.transparency.ge/ge/post/otar-parcxalazis-kompaniistvis-konebis-aramartlzmierad-gadacemis-faktebze-gamozieba-unda/?custom_searched_keyword=%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A1); [https://www.transparency.ge/ge/content/arasamtavrobo-organizaciebis-ertoblivi-gancxadeba-generalur-auditor-lasha-tordiaze-momxdar/?custom\\_searched\\_keyword=%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A1](https://www.transparency.ge/ge/content/arasamtavrobo-organizaciebis-ertoblivi-gancxadeba-generalur-auditor-lasha-tordiaze-momxdar/?custom_searched_keyword=%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A1)

რომლებიც კორუფციისა და ინტერესთა შეუთავსებლობის პრევენციას ემსახურება. ასეთი შემთხვევები მოიცავს თანამდებობის პირთა მიერ საეჭვო საჩუქრების მიღებას,<sup>20</sup> უკანონო პოლიტიკურ და საარჩევნო შემოწირულობებს,<sup>21</sup> უკანონო მონაწილეობას სამეწარმეო საქმიანობაში და ქონებისა და ბიზნესთან კავშირების არასრულ დეკლარირებას.<sup>22</sup>

---

*შესაბამის ინსტიტუტებს უჭირთ კორუფციის შემთხვევებზე ეფექტურად რეაგირება მაშინ, როდესაც საქმე მაღალი თანამდებობის პირებს და მმართველ პარტიასთან დაკავშირებულ გავლენიან ადამიანებს ეხება.*

---

ეს შემთხვევები იმაზე მიუთითებს, რომ შესაბამის ინსტიტუტებს უჭირთ კორუფციის შემთხვევებზე ეფექტურად რეაგირება მაშინ, როდესაც საქმე მაღალი თანამდებობის პირებს და მმართველ პარტიასთან დაკავშირებულ გავლენიან ადამიანებს ეხება (იმავე პეროდში არაერთ შედარებით დაბალი რანგის მოხელეს წარედგინა ბრალი სხვადასხვა კორუფციული დანაშაულის გამო).

ამასთან, პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციის მარეგულირებელი კანონმდებლობის გაუმჯობესების მიუხედავად, საპარლამენტო უმრავლესობა კვლავაც არ ავლენს შესაბამისი უფლებამოსილებების ეფექტურად გამოყენების პოლიტიკურ ნებას, რაც ცხადად გამოჩნდა თბილისში მომხდარი გახმაურებული მკვლელობის შემსწავლელი საგამოძიებო კომისიის

---

<sup>20</sup> თანამდებობის პირების მიერ მიღებული საჩუქრები დამატებით შესწავლას საჭიროებს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 7 მარტი, 2018 წ. [https://www.transparency.ge/ge/blog/tanamdebobis-pirebis-mier-migebuli-sachukrebi-damatebit-shescavlas-sachiroebs/?custom\\_searched\\_keyword=%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A9%E1%83%A3%E1%83%A5%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98](https://www.transparency.ge/ge/blog/tanamdebobis-pirebis-mier-migebuli-sachukrebi-damatebit-shescavlas-sachiroebs/?custom_searched_keyword=%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A9%E1%83%A3%E1%83%A5%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98)

<sup>21</sup> „ქართული ოცნების“ დაფინანსება სხვა პოლიტიკური პარტიების დაფინანსებას მნიშვნელოვნად აღემატება, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 10 მარტი, 2017 წ. [https://www.transparency.ge/ge/post/report/kartuli-otsnebis-dapinanseba-skhva-politikuri-partiebis-dapinansebas-mnishvnelovnad-agemateba/?custom\\_searched\\_keyword=%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98](https://www.transparency.ge/ge/post/report/kartuli-otsnebis-dapinanseba-skhva-politikuri-partiebis-dapinansebas-mnishvnelovnad-agemateba/?custom_searched_keyword=%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98)

<sup>22</sup> საქართველოს მთავრობის წევრების სამეწარმეო საქმიანობა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 7 დეკემბერი, 2018 წ. [https://www.transparency.ge/ge/blog/sakartvelos-mtavrobis-cevrebis-samecarneo-sakmianoba/?custom\\_searched\\_keyword=%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9D](https://www.transparency.ge/ge/blog/sakartvelos-mtavrobis-cevrebis-samecarneo-sakmianoba/?custom_searched_keyword=%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9D) ;

პარლამენტის წევრების კავშირები ბიზნესთან, შეუთავსებელი საქმიანობა და არადეკლარირებული ქონება, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 19 სექტემბერი, 2017 წ. [https://www.transparency.ge/ge/post/parlamentis-cevrebis-kavshirebi-biznestan-sheutavsebeli-sakmianoba-da-aradeklarirebuli-koneba/?custom\\_searched\\_keyword=%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98](https://www.transparency.ge/ge/post/parlamentis-cevrebis-kavshirebi-biznestan-sheutavsebeli-sakmianoba-da-aradeklarirebuli-koneba/?custom_searched_keyword=%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98)

საბოლოო დასკვნის განხილვისას,<sup>23</sup> ასევე პარლამენტში თიბისი ბანკთან დაკავშირებული ზემოხსენებული საქმის შესახებ გამართული დისკუსიის დროს.<sup>24</sup>

---

<sup>23</sup> არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნასთან და რეკომენდაციებთან დაკავშირებით, 18 სექტემბერი, 2018 წ. [https://www.transparency.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebis-gancxadeba-xoravas-kuchaze-momxdari-danashaulis-shemscavleli/?custom\\_searched\\_keyword=%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A1](https://www.transparency.ge/ge/post/arasamtavrobo-organizaciebis-gancxadeba-xoravas-kuchaze-momxdari-danashaulis-shemscavleli/?custom_searched_keyword=%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A1)

<sup>24</sup> თიბისი ბანკზე პარლამენტში ჩაშლილი დისკუსია საკითხის პოლიტიზირების ეჭვებს აღრმავებს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, 26 თებერვალი, 2019 წ. <https://www.transparency.ge/ge/post/tibisi-bankze-parlamentshi-chashili-diskusია-sakitxis-politizirebis-echvebs-agrmavebs-0>

წინა სექციაში მიმოხილული მასალა (საერთაშორისო რეიტინგები, საზოგადოებრივი აზრის კვლევები, კორუფციის შემთხვევებზე რეაგირების პრაქტიკა) ცხადყოფს, რომ საქართველოში, ერთი მხრივ, შენარჩუნებულია წვრილმანი კორუფციის აღმოფხვრის თვალსაზრისით მიღწეული პროგრესი, ხოლო, მეორე მხრივ, პრობლემად რჩება კორუფციის უფრო კომპლექსურ გამოვლინებებზე რეაგირება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე მაღალი თანამდებობის პირებს ან მმართველ პარტიასთან დაკავშირებულ გავლენიან პირებს ეხება.

ევროპის პარლამენტის მიერ 2018 წლის ნოემბერში მიღებული რეზოლუცია, რომელიც საქართველოსთან ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციას ეხება, ერთი მხრივ, ხაზს უსვამს საქართველოს მიერ მიღწეულ შედეგებს დაბალი და საშუალო დონის კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით, ხოლო, მეორე მხრივ, აღნიშნავს, რომ „სერიოზულ პრობლემად რჩება მაღალი დონის ელიტური კორუფცია“ და რომ „მაღალი დონის კორუფციის შემთხვევების გამოძიების მხრივ მნიშვნელოვანი შედეგები ჯერაც არ მიღწეულა.“ ევროპის პარლამენტი ასევე მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, რომ უზრუნველყოს ანტიკორუფციული სააგენტოს გამოყოფა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან, მისი დამოუკიდებლობა და მისი დაცვა მის საქმიანობაში პოლიტიკური ჩარევისგან.<sup>25</sup>

---

*„სერიოზულ პრობლემად რჩება მაღალი დონის ელიტური კორუფცია“ (ევროპის პარლამენტის რეზოლუცია საქართველოს შესახებ, 2018 წ. ნოემბერი).*

---

ეს ტენდენცია (კორუფციასთან ბრძოლაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტების არაეფექტური რეაგირება მაღალი დონის კორუფციის შემთხვევებზე) იმაზე მიუთითებს, რომ მმართველი პარტია არაჯეროვან გავლენას ფლობს ამ ინსტიტუტებზე და რომ ეს ინსტიტუტები არ სარგებლობენ სათანადო ავტონომიით.

ამის მიზეზი საქართველოში ამჟამად ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ სისტემაში უნდა ვეძიოთ, სადაც ერთი პოლიტიკური პარტია პრაქტიკულად შეუზღუდავი ძალაუფლებით სარგებლობს და ამ ძალაუფლებას ყველა მნიშვნელოვან სახელმწიფო თანამდებობებზე სასურველი პირის დასანიშნად იყენებს. ანტიკორუფციული პოლიტიკის კონტექსტში აღსანიშნავია, რომ საქართველოში კორუფციის შემთხვევებზე რეაგირებაზე პასუხისმგებელ ორ მთავარ ინსტიტუტს (სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს და პროკურატურას) დღეს მმართველი პარტიის ლიდერის პირადი დაცვის ყოფილი უ და ყოფილი პირადი ადვოკატი ხელმძღვანელობენ.

---

<sup>25</sup> European Parliament resolution of 14 November 2018 on the implementation of the EU Association Agreement with Georgia, [http://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-8-2018-0457\\_EN.html](http://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-8-2018-0457_EN.html)



ასეთ პირობებში, როდესაც სისტემურ დონეზე არსებული პრობლემები შეუძლებელს ხდიან მაღალი დონის კორუფციის შემთხვევებზე ეფექტურ რეაგირებას, უსაფუძვლოა მოლოდინი, რომ საქართველო შეძლებს ანტიკორუფციული პოლიტიკის სფეროში პროგრესის მიღწევას იმ ტიპის აქტივობებით, რომლებზეც ეროვნული სამოქმედო გეგმა ფოკუსირებული (სხვადასხვა სახის ტრენინგები). პროგრესი სისტემურ რეფორმებს მოითხოვს, კერძოდ:

- დამოუკიდებელი ანტიკორუფციული ინსტიტუტის შექმნას, რომელიც იმუშავებს გამჭვირვალედ და მაქსიმალურად იქნება დაცული პარტიული გავლენისგან.
- საპარლამენტო არჩევნების სისტემის შეცვლას და სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას, რაც ხელს შეუწყობს პოლიტიკური პლურალიზმის გაძლიერებას, შეამცირებს ძალაუფლების კონცენტრაციას ერთი პოლიტიკური პარტიის ხელში და უზრუნველყოფს პროფესიონალური და რეალურად დამოუკიდებელი საჯარო ინსტიტუტების (მათ შორის სამართალდამცავი ინსტიტუტების) ფორმირებას.

## დანართი: 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის აქტივობები ანტიკორუფციული პოლიტიკის ნაწილში

### იუსტიციის სამინისტრო:

- 2017-2018 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის მონიტორინგი (შესრულების ინდიკატორი: ანტიკორუფციული საბჭოსთვის წარდგენილი 2017-2018 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში)
- კორუფციული რისკების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება (შესრულების ანგარიში: სამდივნოს თანამშრომლებისთვის კორუფციის რისკების მეთოდოლოგიაში ჩატარებული სულ მცირე 1 ტრენინგი; ანტიკორუფციული საბჭოსთვის განსახილველად წარდგენილი კორუფციული რისკების მეთოდოლოგიის სამუშაო ვერსია)
- ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის შემუშავება (შესრულების ინდიკატორი: პარლამენტში წარდგენილი ინფორმაციის თავისუფლების კანონის პროექტი)

### ფინანსთა სამინისტრო:

- შიდა აუდიტის სუბიექტების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების წლიური გეგმის შესაბამისად ტრენინგების ჩატარება, მათ შორის კორუფციული ნიშნების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის საკითხებში (შესრულების ინდიკატორი: 25-მა შიდა აუდიტორმა გაიარა ტრენინგი, რომელიც განხორციელდა საერთაშორისო ექსპერტის მონაწილეობით, კორუფციული ნიშნების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის საკითხებში).
- ადგილობრივი ტრენერების გადამზადება მდგრადობისა და მუდმივი განვითარებისათვის კორუფციის აღმოჩენისა და პრევენციის მიმართულებით (შესრულების ინდიკატორი: მინიმუმ 3 შიდა აუდიტორისათვის განხორციელებულია ტრენერთა ტრენინგი კორუფციის აღმოჩენისა და პრევენციის მიმართულებით და შემუშავებული ინსტრუქცია შიდა აუდიტორთათვის კორუფციის აღმოჩენისა და პრევენციის თემაზე).

### საჯარო სამსახურის ბიურო:

- თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგი (შესრულების ინდიკატორი: თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის შედეგები და ანგარიში)



---

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური:

- პარტნიორი ქვეყნების შესაბამის უწყებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში, კორუფციის პრევენციის და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე თანამშრომლობის გაგრძელება (შესრულების ინდიკატორი: ჩატარებული ღონისძიებების თემატიკა და რაოდენობა; ინიცირებულ შეთანხმებათა რაოდენობა)
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს (დეპარტამენტი) თანამშრომელთა პროფესიული განვითარება; გადამზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება (შესრულების ინდიკატორი: ჩატარებული ღონისძიებების თემატიკა და რაოდენობა; გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა)

---

მთავარი პროკურატურა:

- კორუფციულ დანაშაულთან მიმართებაში გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების საკითხებზე პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლების გადამზადება (შესრულების ინდიკატორი: ჩატარებული მინიმუმ 5 სასწავლო აქტივობა; გადამზადებულ პირთა რაოდენობა).
- კორუფციის პრევენციის თემაზე საჯარო დაწესებულებების შიდა მაკონტროლებელი ორგანოების წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება (შესრულების ინდიკატორი: ჩატარებული მინიმუმ 2 სასწავლო შეხვედრა)